ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომის
ოქმი N4

24.05.2022
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თეა ჯუღელი, მერაბ ჭოხონელიძე, მარეხი ნიჟარაძე, ბესიკ ხამაშურიძე, ხათუნა არველაძე, ქეთევან ხურციძე, კახა გაბუნია.

სულ 8 წევრი.

არ ესწრებოდა: მანანა ჩიხლაძე, თედო მესხი,ნინო ჩიკვაშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ამირან კოპალეიშვილი; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი-პეტრე ადამაძე; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ელეონორა გოგოლაშვილი; „Creative Solution" აღმასრულებელი დირექტორი- ზვიად მჭედლიშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ბექა ქებულაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგიის მოწონების შესახებ.

დღის წესრიგთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა, ღია კენჭისყრით ერთხმად დაადგინეს;

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 1 საკითხი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგიის მოწონების შესახებ.

სხდომა გახსნა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა

ქებულაძემ: ,,მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომას გახსნილად ვაცხადებ. თქვენის ნებართვით წარმოგიდგენთ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგს: ,, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგიის მოწონების შესახებ". მომხსენებელი ბატონი პეტრე ადამაძე- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი და ბატონი ზვიად მჭედლიშვილი -,, Greative Solution"-ის აღმასრულებელი დირექტორი. გთხოვთ, ბატონო პეტრე: ,, მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ ამ კონკურსში მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ პარტნიორობის 5 ქვეყნის 70 ქალაქმა. 70 ქალაქიდან 13 ქალაქს შორის მოხდა ჩვენი ქალაქი პირველ ეტაპზე, II ეტაპზე 13 ქალაქიდან შეირჩა 5, 5 ქალაქიდან კი ვიმყოფებით იმ ეტაპზე, როცა შერჩეულია 3 ქალაქი- ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი. ანუ კონკრეტული შედეგი უკვე ქალაქს ექნება ის, რომ ექნება კულტურის განვითარების სტრატეგია ჩამოყალიბებული, რომელსაც წარმოგიდგენთ განხილვისა და დამტკიცების მიზნით. მადლობას ვუხდით თითოეულ იმ მონაწილეს, რომელიც გაერთიანებული იყო სამუშაო ჯგუფის წევრებში. ვფიქრობ რომ საინტერესო პროცესი გავიარეთ 6 თვის განმავლობაში, სტრატეგიის შემუშავების პროცესში. ამ პროცესებში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა ჩვენი თანააპლიკანტი ორგანიზაციამ ,, Greative Solution" და მისმა ხელმძღვანელმა ბატონმა ზვიადმა. ბატონო ზვიად გთხოვთ, უფრო დეტალურად წარმოგვიდგინოთ აღნიშნული სტრატეგია.

,,Creative Solution" აღმასრულებელი დირექტორი- ზვიად მჭედლიშვილი -,,მადლობა ბატონებო, გამომდინარე იქედან, რომ კონკურსში ვიღებთ მონაწილეობას, შესაბამისად, პროცესი და თავად დოკუმენტაცია, როგორიც არის დღესდღეობით აღწერილი, გამომდინარეობს იმ მოთხოვნების შესაბამისობაში, რომელიც დადგა დამკვეთი პროგრამის მხრიდან. საბოლოო ჯამში, დოკუმენტი უნდა იყოს ინგლისურენოვანი. რაც შეეხება დოკუმენტს, ის ასახავს იმ რეალობას , რომელიც გვინდა დავინახოთ 2028 წელს ქალაქ ქუთაისში. ჩვენი 2 მთავარი მიმართულება იყო ის, რაც ქუთაისს გააჩნია და ის, რაც ყველაზე უნიკალურია. ჩვენი ამოცანაა, რომ ამ სტრატეგიის მეშვეობით, ქალაქიდან არა თუ მიდიოდნენ, არამედ სხვები ჩამოდიოდნენ. ამისათვის ავიღეთ 4 მიმართულება: ახალგაზრდობა, განათლება, კულტურა , შემოქმედებითი მეწარმეობა. ამას ყველაფერს აერთიანებს ის პროცესი რაც გავიარეთ 6 თვის განმავლობაში და 640-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. დოკუმენტის დეტალური განხილვა მოხდება სასტუმრო ,,ბაგრატში".

აზრი გამოთქვეს:

მერაბ ჭოხონელიძე: -,,სტრატეგია ფაქტია დასამტკიცებელია".

ბექა ქებულაძე:-,,ვფიქრობ, მისასალმებელია ამ პროექტის გამარჯვება".

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა და კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

კომისიამ ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინა:

მოწონებულ და დადებითად შეფასებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგია.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და
სპორტის კომისიის თავმჯდომარე
ბექა ქებულაძე